შეთანხმება მიწის ნაკვეთ(ებ)ის გამოყენების, სამომავლო შესყიდვის, ან/და სანივთო უფლებით დატვირთვის შესახებ

წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში „შეთანხმება") გაფორმებულია თბილისში, 2023 წლის 23 მარტს შემდეგ მხარეებს შორის:

1) შპს „ფირმა ლომთაგორა", კომპანია მოქმედი საქართველოს კანონმდებობის შესაბამისად, რეგისტრირებული 1996 წლის 5 იანვარს მარნეულის სახალხო სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომერი 234160136, წარმოდგენილი მისი დირექტორის, **კახა ლაშხის** (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი 28001000523) მიერ; (შემდგომში „**მესაკუთრე**")
2) შპს „**ქართლი ჯენერეიშენ**", კომპანია მოქმედი საქართველოს კანონმდებობის შესაბამისად, რეგისტრირებული 2018 წლის 13 იანვარს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომერი 404569882, წარმოდგენილი მისი დირექტორის, **დავით გელაშვილის** (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი 01025009990) მიერ. (შემდგომში „**დაინტერესებული პირი**")

წინამდებარე შეთანხმებაში მესაკუთრე და დაინტერესებული პირი ცალ-ცალკე მოხსენიებულნი არიან როგორც „**მხარე**", ხოლო ერთობლივად - „**მხარეები**".

ვინაიდან და რადგანაც:

ა) 2021 წლის 24 ნოემბერს გამყიდველსა და დიმიტრი აბდუშელიშვილს (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი 01008004795) (შემდგომში „მყიდველი") შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში „**ხელშეკრულება**"), რომლითაც გამყიდველმა გადასცა, ხოლო მყიდველმა მიიღო საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე: უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 83.20.01.661, მისამართი იალღუჯა, მარნეული, საქართველო; საერთო ფართობი 1 000 000 კვ.მ (შემდგომში „**ქონება**");
ბ) მყიდველმა, ქონების შეძენისა და მასზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდგომ, ქონება შეიტანა მისსავე საკუთრებაში არსებული კომპანიის - შპს „ქართლი ჯენერეიშენის" (ს/ნ 404569882) კაპიტალში;
გ) შპს „ქართლი ჯენერეიშენის" კაპიტალში ქონების შეტანის შედეგად, ქონების მესაკუთრე გახდა კომპანია - შპს „ქართლი ჯენერეიშენი";
დ) წინამდებარე შეთანხმების გაფორმების თარიღისათვის, ქონების მესაკუთრეა შპს „ქართლი ჯენერეიშენი", რომელიც აპირებს საკუთარი ხარჯებით მოაწყოს და დაამონტაჟოს მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები, რათა უზრუნველყოს ქონებაზე არსებული ქვესადგურის დაკავშირება მარნეულის 220 კვტ ქვესადგურთან;
ე) დაინტერესებული მხარის საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად, მაღალი ძაბვის გადამცემმა ხაზებმა უნდა გაიაროს შპს „ფირმა ლომთაგორას" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:



კახა ლაშხი          დავით გელაშვილი

1) შპს „ფირმა ლომთაგორა“ არ არის წინააღმდეგი შპს „ქართლი ჯენერეიშენის“ მაღალი ძაბვის გადამცემმა ხაზებმა გადაკვეთოს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთ(ებ)ი;
2) შპს „ფირმა ლომთაგორა“ და შპს „ქართლი ჯენერეიშენი“ თანხმდებიან, რომ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების ზუსტი ლოკაციების განსაზღვრის შემდეგ და გადამცემი ხაზების მშენებლობის დაწყებამდე, მხარეთა შორის გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება(ები) დაინტერესებული მხარის მიერ საჭირო მიწის ნაკვეთ(ებ)ზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის, ან/და მისი/მათი აღნაგობის, სერვიტუტის ან სხვა სანივთოსამართლებრივი უფლებით დაინტერესებული მხარის სასარგებლოდ დატვირთვის შესახებ, გასაფორმებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.
3) წინამდებარე შეთანხმება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

*(ხელმოწერები მომდევნო გვერდზე)*

წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია და გაფორმებულია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

მხარეთა ხელმოწერები

| მესაკუთრე | დაინტერესებული პირი |
|---|---|
| შპს „ფირმა ლომთაგორა“ | შპს „ქართლი ჯენერეიშენ“ |
| დირექტორი | დირექტორი |
| კახა ლაშხი | დავით გელაშვილი |

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდასამ მარტს, მე, **საქართველოს ნოტარიუსს ლიანა ბუხრიკიძეს**, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №81, მომმართა: **დავით გელაშვილმა, რომელმაც წარმოადგინა შეთანხმება მიწის ნაკვეთ(ებ)ის გამოყენების, სამომავლო შესყიდვის ან/და სანივთო უფლებით დატვირთვის შესახებ სამ ეგზემპლარად**, და მოითხოვა მასზე თავისი ექვსი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **დავით გელაშვილმა** (დაბ. 31.12.1981წ. პირადი № 01025009990, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, იოანე პეტრიწის ქუჩა, N 1, ბინა 86) მომმართა.

შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ***ხელმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს შეთანხმებაში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე.*** შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ.

სანოტარო მომსახურების საზღაური სულ 33.32 /ოცდაცამეტი ლარი და ოცდათორმეტი თეთრი/ ლარი. აქედან 24.00 /ოცდაოთხი ლარი და ნული თეთრი/ ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებების (29.12.2011 წელი, დადგენილება 507; 30.05.2022 წელი, დადგენილება 272) 31-ე მუხლისა, 4.32 /ოთხი ლარი და ოცდათორმეტი თეთრი/ ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა (დღგ) და 5.00 /ხუთი ლარი და ნული თეთრი/ ლარი - ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილებების 29.12.2011 წელი, დადგენილება 507; 30.05.2022 წელი, დადგენილება 272) 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ლ. ბუხრიკიძე

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N230368872 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 23.03.2023 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ლიანა ბუხრიკიძე |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #81 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 95-25-20 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 93906586968923 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას ოცდასამი წლის ოცდასამი მარტი . მე, საქართველოს ნოტარიუსს გოჩა ჩაბალოშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში,მდებარე მისამართზე /ქ. მარნეული რუსთაველის ქ. № 89–ში,1-ლ სართულზე/ მომმართა: ბატონმა კახა ლაშხმა, რომელმაც წარმომიდგინა (ქართულ ენაზე შედგენილი ) , შეთანხმება მიწის ნაკვეთ(ებ)ის გამოყენების, სამომავლო შესყიდვის ან/და სანივთო უფლებით დატვირთვის შესახებ. განაცხადა, რომ აღნიშნული ტექსტის შინაარსი მისთვის ცნობილია და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად კახა ლაშხმა ( დაბადებული 12.12.1969 წელს, პირადობის მოწმობა № 22IA55478 პირადი N 28001000523 გაც. 05.12.2022 წელს საქართველოს ი/ს მიერ. ) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს, აგრეთვე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. მან განაცხადა, რომ შეთანხმება მიწის ნაკვეთ(ებ)ის გამოყენების, სამომავლო შესყიდვის, ან/და სანივთო უფლებით დატვირთვის შესახებ სრულად გამოხატავს მის ნებას და სურვილს, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა შეთანხმებაზე მიწის ნაკვეთ(ებ)ის გამოყენების, სამომავლო შესყიდვის, ან/და სანივთო უფლებით დატვირთვის შესახებ, რომელიც თან ერთვის სანოტარო აქტს. მე ნოტარიუსმა განვუმარტა მას, რომ ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამისობის, ან კერძო აქტში ხელმოწერის ნების არაადექვატურად ასახვის გამო. ნოტარიუსი ამოწმებს მხოლოდ ხელმოწერას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური: ორ ეგზემპლიარზე ოთხი ხელმოწერის თექვსმეტი ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების , მათი გადახდევინების წესისა და მომსახურეობის ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების ( 29 დეკემბერი 2011 წელი. N 507) 31 მუხლის მესამე პუნქტისა + დღგ ორი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი. საქ. საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხ. + ხუთი ლარი ( დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით) თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს მთავრობის ( 29 დეკემბერი 2011წელი № 507 ) დადგენილების 39 მუხლის 1 პუნქტისა. ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციისათვის : სულ გადახდილია ოცდასამი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი

ნოტარიუსი: გოჩა ჩაბალოშვილი

GEORGIA NOTARY GOCHA CHABALOSHVILI 28001001421

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N230371210 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 23.03.2023 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება |
| ნოტარიუსი | გოჩა ჩაბალოშვილი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | მარნეული. რუსთაველის ქ. N89 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 599983220 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 77418784814623 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18